05.06.2023. უსმა/USMA-ს ორგანოზებით

სამეცნიერო კონფერენცია:

“21-ე საუკუნე: კულტურული უსაფრთხოების აქტუალური საკითხები”

პარტნიორი ორგანიზაციები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი, საქართველოს ენოლოგთა კავშირი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, დაცვის კომპანია “მაგისტრი”, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

2023 წლის 5 ივნისს „უსმა/USMA“-ს ორგანიზებითა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის, საქართველოს ენოლოგთა კავშირის, დაცვის კომპანია “მაგისტრის”, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პარტნიორობით. გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია: ***“21-ე საუკუნე კულტურული უსაფრთხოების აქტუალური საკითხები”.***

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა “უსმა/USMA”-ს თავმჯდომარემ, მეცნიერებათა დოქტორმა ბესიკ ობოლაძემ.

კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს პროფესორებმა, უსმა/USMA-ს წევრებმა: შოთა დოღონაძემ (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების სახელით) და ალიკა გუჩუამ (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სახელი).

კონფერენციის მონაწილეებს მიმართა საქართველოს ენოლოგთა კავშირის თავმჯდომარემ, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა [მურმან ქურიძემ (იხილეთ დამატებით).]

<u>სამეცნიერო კონფერენციის პირველ ნაწილში, დასახელებით:</u> **“21-ე საუკუნე: ღირებულებითი სისტემები და კულტურული პარადიგმები"**, მოხსენებებით წარსდგნენ: პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი შოთა ვეშაპიძე, პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ბესიკ ალადაშვილი, პარლამენტის განათლების კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი, უსმა/USMA-ს პრეზიდიუმის წევრი, მწერალი ქეთევან ტომარაძე.

<u>კონფერენციის მე-2 ნაწილში დასახელებით:</u> **“მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობის პრიზმაში"**, მოხსენებებით წარსდგნენ: აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი დავით მაღრაძე (ღვინის ეროვნული სააგენტო), მეცნიერებათა დოქტორი ლაშა ბოდაველი (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მეღვინეობა-მევენახეობის ფაკულტეტის კოორდინატორი), პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი მარიამ ხოსიტაშვილი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი თენგიზ ჯალიაშვილი.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა სამეცნიერო კულტურული სივრცის (დამფუძნებელი მარიამ ლომთათიძე) პროექტების პრეზენტაცია.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო მხატვარ გიორგი (გელა) ჩხატარაშვილის ზოგიერთი, კონფერენციის თემატიკასთან ასოცირებული, ნამუშევარი. გიორგი (გელა) ჩხატარაშვილი, უსაფრთხოების სფეროს მკვლევარი - მონაწილეობდა კონფერენციის დისკუსიაში.

სამეცნიერო კონფერენციაზე საინტერესო, მწვავე დისკუსია გაიმართა აგრეთვე ისეთ აქტუალურ საკითხზე, როგორიცაა მევენახეობა - მეღვინეობის სფერო და უსაფრთხოების პრობლემატიკა. გადაწყდა, რომ აღნიშნული პრობლემატიკის ირგვლივ დაინტერესებული საზოგადოების ჩართულობით დამატებითი მსჯელობა გაიმართება.

www.bm.ge

www.bm.ge